სოლიდარობისა და ნდობის სოციო-კულტურული საფუძვლები ქართულ საზოგადოებაში

სალომე აფციაური

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: სოციოლოგია

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა კირვალიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე აფციაური

2023 წლის 14 ივნისი

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი იკვლევს ნდობისა და სოლიდარობის სოციალურ და კულტურულ ფაქტორებს ქართულ საზოგადოებაში. ნაშრომში საუბარია იმის შესახებ, თუ რა არის ნდობის, სოლიდარობის ჩამოყალიბების ძირითადი მიზეზები ქართულ საზოგადოებაში.

წინამდებარე კვლევის მიზანს ნდობისა და სოლიდარობის განმსაზღვრელი კონკრეტული სოციო-კულტურული ფაქტორების დადგენა წარმოადგენს, ამიტომ კვლევა ტარდება რაოდენობრივი კვლევის მეთოდით, მეორად რაოდენობრივ მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით. კერძოდ, EVS - ევროპის ღირებულებების კვლევისა და CRRC -კავკასიის კვლევითი ცენტრის მონაცემების გამოყენებით. მოცემული მონაცემთა ბაზებიდან საკვლევი თემის შესაბამისი ცვლადები სტატისტიკურად მუშავდება, რისი მეშვეობითაც საშუალება გვეძლევა დამტკიცდეს ან უარყოფილ იქნეს კვლევის ჰიპოთეზები.

მიღებული შედეგების მიხედვით გამოყოფილია ნდობისა და სოლიდარობის ჩამოყალიბებაზე მოქმედი სოციალური და კულტურული ფაქტორები. კერძოდ, დაუსაქმებელ ადამიანებს მეტი სოლიდარობის განცდა აქვთ სხვა დაუსაქმებელი ინდივიდების მიმართ. რაც სოლიდარულ საზოგადოებაზე მოქმედ სოციალურ ფაქტორს წარმოადგენს.

შედეგებმა ასევე ცხადყო, რომ ისეთი სოციო-კულტურული კაპიტალის ფორმები როგორებიცაა დასაქმება, რელიგია, განათლება, სხვა ეროვნების მქონე ინდივიდის მიმართ დამოკიდებულება, ნდობისა და სოლიდარობის ჩამოყალიბებაზე ახდენს გავლენას. ამ ფაქტორების გათვალისწინებით ყალიბდება ქართულ საზოგადოებაში ნდობა და სოლიდარობა სოციუმის დანარჩენი წევრებისა თუ განსხვავებული ინდივიდების მიმართ.

საკვანძო სიტყვები: სოლიდარობა, ნდობა, სოციო-კულტურული და დემოგრაფიული ცვლადები: ასაკი, სქესი, განათლება, სოციალური სტატუსი, ეკონომიური სტატუსი, გეოგრაფია.

Abstract

The following Master's thesis examines the social and cultural factors of trust and solidarity in Georgian society. The work draws attention to the main reasons for the formation of trust and solidarity in Georgian society.

The subject of the research conducted within the framework of the master's thesis is to determine the specific socio-cultural factors of building trust and solidarity, so the study is conducted using a quantitative method, based on a secondary quantitative database. In particular, using data drom EVS (European Values Survey) and CRRC (Caucasus Research and Resouce Center). Based on the databases some relevant variables are selected and imported into SPSS and statistically processed, as a result of which the research hypothesis are confirmed or rejected.

According to the obtained results, social and cultural factors affecting the formation of trust and solidarity are distinguished. In particular, people who have had an experience of being unemployed for more than 3 months have a greater sense of solidarity towards other individuals with the same experience. This is a social factor affecting the level of solidarity among the members of the society.

Within the framework of the research it was found that such forms of socio-cultural capital as employment, religion, education attainment, influence the formation of trust and solidarity. The results confirmed that these factors build trust and solidarity towards other members of Georgian society.

Keywords: solidarity, trust, socio-cultural and demographic variables: age, gender, education, social status, economic status, geography.